1973175538106
www.info.court.ge

საქმე № 3/6679-15

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
ხარვეზის დადგენის შესახებ

25 აგვისტო, 2015წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე თამარ ოქროპირიძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენელი - ნინო გუჯარაიძე

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა;
მოპასუხე - სს "სახელმწიფო ელექტროსისტემა";
მოპასუხე - სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";
მოპასუხე - სს "ონი კასკადი";

დავის საგანი - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი;

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2015 წლის 20 აგვისტოს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს მთავრობის, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემის", სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და სს "ონი კასკადი"-ს მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობა.

სასამართლო გაეცნო სარჩელს, მასზე თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე, 445-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული და საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე. ამდენად, მოსარჩელე მხარეს უნდა დაევალოს მის მიერ გასაჩივრებული 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი წარმოადგინოს ნათარგმნი სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ" და „ი" ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელეს სარჩელზე უნდა დაუდგინდეს ხარვეზი და განესაზღვროს 10 (ათი) დღის ვადა ხარვეზის აღმოფხვრისათვის.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 447-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სარჩელზე დადგენილ იქნეს ხარვეზი და დაევალოს მოსარჩელე მხარეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის აღმოფხვრა, რისთვისაც განესაზღვროს 10 (ათი) დღის ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

2. განემარტოს მოსარჩელეს, რომ, თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე **თამარ ოქროპირიძე**